

შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას მომავლის პროფესიების მიმართულებით დამხმარე მასწავლებლის პოზიციაზე

**პოზიციის მიზანი:**

2018-2019 სასწავლო წლიდან „ევროპული სკოლა“ გადადის სწავლების ახალ პრინციპზე და ქმნის ინოვაციურ ინფრასტრუქტურას (ფაბლაბი, სასწავლო ლაბორატორიები) იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ მომავლის უნარ-ჩვევები და იყვნენ კონკურენტუნარიანები 21-ე საუკუნის დასაქმების ბაზარზე. სწავლების ახალი პრინციპი დამყარებულია ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე.

**ფუნქცია-მოვალეობები:**

- ევროპული სკოლის რობოტიკის მიმართულების მასწავლებელთან ერთად I-IV კლასის მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ჩატარება თანამედროვე ტექნოლოგიური კონსტრუქტორებისა და მოწყობილობების გამოყენებით (MakeyMakey, Microelectronic components, Botley Coding Robot და სხვა);
- მასწავლებლის დახმარება კონსტრუქტორების, სასწავლო სივრცის მოწესრიგებისა და საგაკვეთილო პროცესისთვის გამზადების ნაწილში;
- მოსწავლეების დაინტერესება თანამედროვე ტექნოლოგიებით და ამ მიზნით შესაბამისი ვიზუალური, ტექსტური მასალების მომზადება;
- საკუთარი ცოდნის მუდმივი განახლება კვლევის საფუძველზე;
- კოლაბორაციული მუშაობა სხვა საგნების მასწავლებლებთან და ინტერდისციპლინარული გაკვეთილების ჩატარება;
- მოსწავლის ინტერესებს მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- სასწავლო პროგრამის შესაბამისი მეთოდების გამოყენება;
- მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე ზრუნვა;

- ნებისმიერი პრობლემის/შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება და დამრიგებლის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მშობლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის ინფორმირება;
- საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება;
- იმ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა, შესრულება და განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს სილაბუსით გათვალისწინებული პროგრამის შესწავლას;
- დეპარტამენტის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- სკოლის პოლისების, წესების და დებულებების დაცვა;
- კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- სასწავლო პროცესში PBL-ის (პროექტზე დაფუძნებული სწავლება) განხორციელება, მოსწავლეებისთვის პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

### **კვალიფიკაცია:**

#### **განათლება და გამოცდილება**

- II-IV კურსის ბაკალავრიატის სტუდენტი ელექტროინჟინერიის მიმართულებით ან ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხი ელექტროინჟინერიის მიმართულებით;
- Arduino-სა და მაღალტექნოლოგიური სენსორების გამოყენებისა და მათი დახმარებით პროექტების შექმნის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- პროგრამირების ნებისმიერ ენაზე მუშაობის გამოცდილება;
- უპირატესად მიიჩნევა ბავშვებისთვის სწავლების გამოცდილება;
- კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

#### **პიროვნული მახასიათებლები:**

- კომუნიკაბელურობა;
- ორგანიზებულობა;
- პუნქტუალურობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- კრეატიულობა;
- თვითგანვითარებისთვის მზაობა;
- სტრესის მართვის უნარის ფლობა;
- დროის მენეჯმენტი;
- გუნდური მუშაობის უნარის ფლობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის **მისამართზე**: [hr@europeanschool.ge](mailto:hr@europeanschool.ge) 2018 წლის 20 აგვისტომდე.

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის“ ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (CV) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.